*დანართი №5*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)*

## *სსიპ - მერაბ ჭელიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ირემაძეების საჯარო სკოლა*

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ვერა ყურულაშვილი

წევრები:

ნესტან გოგაშვილი

მარინა ისკაკოვა

თამარ შალვაშვილი

მარინე შანშიაშვილი

მაკა გიორგბერიძე

მარინე ჩახვაშვილი

ნინო ჯახველაძე

ირინე შარაბიძე

კობა დეკანაძე

მაკა ნატროშვილი

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ - მერაბ ჭელიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ირემაძეების საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 248053877 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელი ირემაძეები |
| ფაქტობრივი მისამართი | ს. ირემაძეები I-ლი ქ. #19 |
| საფოსტო ინდექსი | 6502 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | iremadzeebi@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | არ აქვთ |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | 2026 წლის 13.02. MES 7 26 000016110 ბრძანება |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2026 წლის 19 და 20 მარტი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ"*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ხულო ს. ირემაძეები I-ლი ქ. #19 |
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ხულო ს. ირემაძეები I-ლი ქ. #19 |
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ხულო ს. ირემაძეები I-ლი ქ. #19 |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*სსიპ - მერაბ ჭელიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ირემაძეების საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის ეროვნული მიზნების მოთხოვნებიდან. სკოლის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაზეც მიუთითეს საგნობრივმა ექსპერტებმა,თუმცა ექსპეტებს აქვთ გარკვეული რჩევები . სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს სრული მზაობა 2025-2026 სასწავლო წლის დასრულებამდე დაასრულონ საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობა რჩევების გათვალისწინებით, მოხდეს სასკოლო კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. საგნობრივი ექსპერტები სრულად იყვნენ ჩართული საგნობრივი კურიკულუმის შეფასების პროცესში როგორც წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის პროცესში, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს.*

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| მოსწავლეთა რაოდენობა: 100 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | *ხარვეზი* |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| *ინდიკატორი N* | | |
| *სტანდარტი N4* | *მოსწავლეთა მხარდაჭერა* | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | **სასკოლო კურიკულუმი**<br>*(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |
| | | |
| | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია |
|---|---|---|
| ინდიკატორი N.... | | |
| | | |
| | | |
| | | |
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია |
| ინდიკატორი N 3.1.2.4. | პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს | სკოლას მიეცა რეკომენდაცია: გამოაცხადოს კონკურსი და მიიღ კვალიფიკაციური კადრები. ( დასრულების ვადა03.09.2026 წ.) |
| ინდიკატორი N 3.4.1.1. | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული | სკოლას მიეცა რეკომენდაცია : სკოლის ტერიტორია შემოისაზღვროს ღობით, უზრუნველყოს, რომ შენობიდან მოსწავლეები არ გადიოდნენ უშუალოდ საავტომობილო გზაზე. მდინარეების მხარეს გაკეთდეს დამცავი ჯებირი არ სხვა დამცავი საშუალება.გაკვეთილების მსვლელობისას სკოლის კართან იდგეს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის სველი წერტილების განლაგების ადგილებში იყოს დაცული მოსწავლეთა უსაფრთხოების ნორმები. ( დასრულების ვადა 29.12.2027 წ.) |

| | | |
|---|---|---|
| | შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებ შესახებ დასკვნა | |
| ინდიკატორი N3.5.1.1. | სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით | სკოლას მიეცა რეკომენდაცია: უზრუნველყოს ცენტრალური გათბობის საქვაბეს და საწვავის ავზის განთავსება ცალკე შენობაში. (დასრულების ვადა 29.12.20 წ.) |
| ინდიკატორი N 3.5.1.3. | სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით | სკოლას მიეცა რეკომენდაცია : წიგნადი ფონდი დამუშავდეს საბიბლიოთეკო წესით, დაიწყოს ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნის წარმოება (დასრულების ვადა (03.08.2026 წ.) |
| **ინდიკატორი N 3.5.1.4.** | **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლ ინკლუზიურ გარემოს** | **სკოლას მიეცა რეკომენდაცია : მოაწყოს ადაპტირებული სველი წერტილი, პანდუსი (დასრულების ვადა 29.12.2027 წ.)** |
| სტანდარტი N4 | მოსწავლეთა მხარდაჭერა | სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია |
| ინდიკატორი N.... | | |
| | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| **სტანდარტი N2** | **სასკოლო კურიკულუმი** (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება) | **სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია** |
| ინდიკატორი N.... | | |
| | | |
| | | |
| | | |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N. 3.1.1.1.* | *სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული* | *სკოლამ დააზუსტოს სკოლის სტრუქტურის შემადგენელი ერთეულების და პირების დაქვემდებარება.* |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N. 4.2.1.3.* | *მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად* | *შეაფასონ მოსწავლეთა სუსტი მხარეესბი, შეიმუშაონ რემედიაციის პროგრამა და განახორციელონ. გააქტიურდეს მოსწავლეთა თვითმმართველობა, დაგეგმონ ინიციატივები, მიმართონ ადმინისტრაციას, ჩართონ თემი.* |
| *ინდიკატორი N. 4.2.1.5.* | **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და** | ხელი შეეწყოს მოსწავლეთა პროფორიენტაციას ასევე მათ ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში ჩართვას. |

| | | |
|---|---|---|
| | **მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას** | |
| *ინდიკატორი N. 4.2.2.1.* | **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის** | პროფორიენტაციის მიზნით, სკოლამ გააფორმოს ხელშეკრულებები პროფესიულ კოლეჯებთან, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სადაც მოსწავლეები გაეცნობიან სხვადასხვა პროფესიის თავისებურებებს, შეხვდებიან პროფესორ-მასწავლებლებს. რომელიც შემდგომში დადებითად აისახება მოსწავლეთა სამომავლო პროფესიის არჩევაზე. |
| *ინდიკატორი N. 4.2.3.1.* | **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი** | სასკოლო სასწავლო გეგმაში შეიტანოს სსსმ მოსწავლისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. |
| | | |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი* <br> *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.1.2.4* | *სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს* | *სასურველია, თუ საგნობრივ კურიკულუმებში უფრო ნათლად აისახება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.* |
| ***ინდიკატორი N2.1.2.5.*** | *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს* | *სასურველია, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დაკონკრეტდეს და დაუკავშირდეს ამა თუ იმ სასწავლო საკითხსა და სამიზნე ცნებას თითოეული თემის ფარგლებში* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2,2,1.* | *სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად* | *სასურველია, თემის/საკითხის ფარგლებში დაიგეგმება მრავალფეროვანი აქტივობები. მნიშვნელოვანია კათედრის გააქტიურება არაფორმალური განათლების მიმართულებით. დაიგეგმოს სასწავლო პროექტები, საგანთაშორის ინტეგრაცია.* |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია ის აქტივობები, რომელთა საშუალებითაც სკოლა უზრუნველყოფს ყველა სტანდარტის მოყვანას ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში.ასევე სკოლამ წარმოადგინა გათვლილი შესაბამისობის რისკები და რისკის დადგომის ალბათობა. კერძოდ, 3.1.2.4. ინდიკატორი - სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლების მიღებას 2026 წლის 3 სექტემბრამდე. 3.5.1.1. ინდიკატორი - სკოლა უზრუნველყოფს სკოლა გათბობის ქვაბის და საწვავის ავზის ცალკე შენობაში განთავსებას 2027 წლის 29 დეკემბრამდე.ამავე დროისთვის იქნება მოწყობილი ადაპტირებული სველი წერტილი და პანდუსი ( ინდიკატორი 3.5.1.4.) წიგნადი ფონდის არწერა დასრულებული იქნება 2026 წლის 30 აგვისტომდე ( ინდიკატორი 3.5.1.3.) შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია ასევე პასუხისმგებელი პირები და ის რესურსები, რომლებიც ხელს შეუწყობს დაგეგმილი აქტივობების შესრულებას.*

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

## 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

 სკოლას აქვს მისია და ხედვა. ის შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

სკოლის მისია:

უსაფრთხო და შესაძლებლობებით მრავალფეროვან გარემოში, ვუზრუნველვყოთ მოსწავლეთა პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა და განვითარება; ხელი შევუწყოთ პატრიოტული ცნობიერების, დემოკრატიული ღირებულებების, მოქალქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარი მოქალაქეების ჩამოყალიბებას და აქტიური სამოქალაქო ცხოვრებისათვის მომზადებას.

 ხედვა

 ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც ყველას თავისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა ექნება, სკოლის კურსდამთავრებულები უნდა იყვნენ კონკურენტუნარიანი როგორც საქართველოში ასევე მსოფლიო მასშტაბით.

 ღირებულებები:

1. თანამშრომლობა;
2. გუნდურობა;
3. გამჭირვალობა;
4. დემოკრატია;

5. ობიექტურობა;
6. განვითარება და ინოვაციურობა.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა ასახავს სასკოლო საზოგადოების მთავარ მიღწევას. სკოლა ქმნის ისეთ გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. პროცესების ცენტრში მოქცეულია მოსწავლე, დასაქმებულები და მშობლები. სკოლა ცდილობს, შექმნას ისეთი გარემო, რომელიც თანაბარ პირობებს ქმნის სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის განვითარებისათვის. სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების დასაცავად სკოლაში მუშაობს უსაფრთხოების სამსახური, ექიმი, შენობა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით. ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის შესასვლელებთან, სართულებზე გამოყოფილნი არიან მორიგე მასწავლებლები. თითოეული დასაქმებულის ფუნქცია - მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებებსა და შინაგანაწესში, რომელსაც ეცნობიან და აწერენ ხელს სკოლის თანამშრომლები. სკოლის შინაგანაწესი ატვირთულია სკოლის პორტალზე, გამოკრულია სკოლის ფოიეშიც. სკოლა უმკლავდება გამოწვევებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების რეალიზებას, ქმნის ღია, ხელმისაწვდომი ჩართულობის მექანიზმს. სკოლის სტრუქტურული ერთეულები (პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა) თანამშრომლობენ ერთმანეთთან და სასკოლო საზოგადოებასთან. ამ საშუალებით გაიზრდება მიკუთვნებულობის, გაზიარებული პასუხისმგებლობის გრძნობა და საბოლოოდ სკოლა გადაიქცევა სოციალურ და კულტურულ ინსტიტუტად.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. იმისათვის, რომ სრულყოფილად მოხდეს მათი ჩართულობა, როგორც შემუშავების, ასევე განხორციელების პროცესში, დირექტორის ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი. მასში გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები: სკოლის პედაგოგები, მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩეული წევრი, მშობელი. ჯგუფის შექმნის მიზანია სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი. აქვე მუშაობს მეთოდოლოგიის ჯგუფი, რომელიც მსჯელობს იმ ფორმებსა და მექანიზმებზე, თუ რა ფორმითა და მექანიზმებით განხორციელდება ეს პროცესები, ვინ მიიღებს მონაწილეობას და რა პერიოდულობით და ინსტრუმენტებით მოხდება მონიტორინგი.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლა ადასტურებს სასკოლო საზოგადოებისთვის სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის გაზიარებას ციფრული და მატერიალური არხებით. გაზიარებულია მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლის ვებგვერდით, მედიით, მშობელთათვის შექმნილი მესენჯერ-ჯგუფებით, სკოლის ფოიეში არსებული საცნობარო დაფით . სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს იცნობენ და იზიარებენ პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები. აღნიშნული დოკუმენტები ასევე გაზიარებულია სოც. მედია გვერდზე, ელექტრონულ პორტალზეჯ სკოლის დირექცია სასწავლო წლის დასაწყისში აწყობს შეხვედრას სასკოლო საზოგადოებასთან და აცნობს მათ სკოლის ფილოსიფიას, ასევე იზიარებს მათ შეხედულებებს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლას გამოკრული აქვს თვალსაჩინო ადგილას. გაზიარებული აქვს სკოლის ვებ-გვერდზე. აღნიშნული დოკუმენტი ყოველი სასწავლო წლის დაწყებისთანავე დამრიგებლების მიერ ეცნობა მშობლებს კრებებზე.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. იგი დაფუძნებულია როგორც „საჯარო სამართლის იურიდიული პირი მერაბ ჭელიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ირემაძეების საჯარო სკოლა“.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ;
2. მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი;
3. პუბლიკაციები სოციალურ მედიაში
4. Skolebi.emis.ge -ზე გამოქვეყნებული დოკუმენტები.
5. სკოლის აზრაჲ
6. ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით შეიქმნა სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემმუშავებელი ჯგუფი, რომელის შემადგენლობაში შედიან: სკოლის მასწავლებელი, მშობელი, საშუალო საფეხურის მოსწავლე. აღნიშნულმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი არის თუ როგორ მოხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც სკოლას აძლევს საშუალებას გაითვალისწინონ პრიორიტეტები და ინტერესები.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას აქვს შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგის მექანიზმს, იგი არის ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დამტკიცებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (2025-2032 წლები) სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა გამომდინარეობს ზოგადი განათლების პრინციპებიდან, სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. მასში ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, სამოქმედო გეგმა, მიზნების მიღწევის გზები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები და საშუალებები. შვიდწლიანი განვითარების გეგმა მოიცავს სკოლის განვითარების პრიორიტეტებს შვიდწლიან პერიოდზე. კერძოდ: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-გაუმჯობესების გზით, თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, ჯანმრთელობა და სოციალური განვითარების ხელშეწყობა.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სტრატეგიული მიზანი, რომელიც შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმას შეესაბამება; ამოცანები; აქტივობები, თუ რა კონკრეტული ქმედებაა დაგეგმილი კონკრეტული მიზნის შესაბამისად; პასუხისმგებელი პირები; განხორციელების ვადები. სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის სტრატეგიული გემიდან გამომდინარე და რეალისტურია.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან და დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გაწერილი აქვს აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები და რესურსები.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია.
2. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;(2025-2032 წწ)
3. ერთწლიანი  სამოქმედო გეგმა; (2025-2026)

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლებიც სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაშია აღწერილი, ანგარიშვალდებულებისა და მონაწილეობის პრინციპითაა შექმნილი. მონიტორინგის პროცესს, რომელიც განსაზღვრავს დაგეგმილი აქტივობების შესრულება/შეუსრულებლობას, მოსდევს შეფასების პროცესი, რომელიც პროცესს ხარისხობრივად აკონტროლებს. სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, სკოლას დადგენილი აქვს მეთოდოლოგიით სქემა, რითაც მოახდენს მონიტორინგის შედეგების ანალიზს. აღნიშნულზე დაყრდნობით სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.   იგეგმება წლიური სამოქმედო გეგმის შეფასება და მისი წარდგენა 2026 წლის ივნისის ბოლოს სამეურვეო საბჭოსადმი.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; მონიტორინგის პროცესს წარმართავს სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი და სკოლის დირექცია, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნიკაციას სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ

მხარეებთან.მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით. სტარტეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისთვის სკოლაში ასევე, გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“ .

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯარო იქნება, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები მოცემული იქნება სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს ოქმებში. სკოლა იაზრებს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია შედეგები ხელმისაწვდომი გახადოს ფართო საზოგადოებისათვის შესაბამისად შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გასაჯაროვდება სკოლის სოციალურ გვერდზე, ვებ გვერდზე’.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში განხილულია სამომავლო გამოწვევები და განსახორციელებელი ნაბიჯები. შესრულების შედეგების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის დანერგვა ემსახურება სკოლის საჭიროებების სისტემატურ დადგენასა და სამომავლო განვითარებას. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით შედგა სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი. სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულების მიმდინარე შეფასების გადახედვის განხორციელება იგეგმება ყოველწლიურად. მას განიხილავს სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რის შემდეგაც მის მიგნებებს,დასკვნებს გაითვალისწინებს ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია.

2. 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

დაწესებულებაში დადგენილია სკოლის სტრუქტურა. ამასთან სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია საშტატო ნუსხა, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, ბუღალტერი, საქმიმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, ცეცხლფარეში, მხატვრული წრის ხელმძღვანელი. თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლის მიხედვით, დადგენილია მათი ფუნქცია -მოვალეობები.სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურა

არ იძლევა სკოლაში არსებული ერთეულების და პირების ურთიერთდაქვემდებარების მკაფიო სურათს. სკოლას მიეცა **რჩევა:** სკოლამ დააზუსტოს სკოლის სტრუქტურის შემადგენელი ერთეულების და პირების დაქვემდებარება.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

   სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის არის კოორდინაცია, ისინი მოქმედებენ შეთანხმებულად, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას. სტრუქტურული ერთეულების მართვის ეფექტიანობა დაფუძნებულია ანგარიშგების პრინციპზე. სკოლის დირექცია შედგება დირექტორის და ბუღალტერისგან. სკოლის დირექტორი ახორციელებს სკოლის მართვას, სამინისტროს მიერ დამტკიცებული პირობებისა და წესის შესაბამისად უზრუნველყოფს მასწავლებელსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულების დადებას და შესრულებას, მონაწილეობს პედაგოგიური საბჭოსთან ერთად სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ.

სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, რომელიც შედგება 7 წევრისგან. სკოლის სამეურვეო საბჭო სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, აგრეთვე დირექტორის მიერ მომზადებულ სკოლის ანგარიშს, სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს. დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობის მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, ასევე სკოლის ავტორიზაციის განაცხადზე მომუშავე ჯგუფი.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის სტრუქტურა;
2. საშტატო განრიგი;
3. გაფორმებული ხელშეკრულებები;

4. დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

პერსონალის მართვის პროცესი ეფუძნება და გამომდინარეობს ქვეყანაში არსებული კანონმდებლობიდან: შრომის კოდექსი, საქართველოს კონსტიტუცია, კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. სკოლის მიერ დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლითაც რეგულირდება სკოლის ადამიანური რესურსების მართვა სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების დელეგირება ხდება დირექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით მათი შესაძლებლობების და საშემსრულებლო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. მაგ.: კლასის დამრიგებლობა, ჟურნალზე პასუხისმგებლობა, სახელმწიფო შესყიდვებზე პასუხისმგებელისმგებლობა, უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებლობა და სხვა. სკოლის შინაგანწესით რეგურილდება სასკოლო საზოგადოების დისციპლინური პასუხისმგებლობა-წახალისება.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონსძიებები. კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმაა. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო, რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლაში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზე პერსონალი შეირჩევა გამჭვირვალედ. დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლას შეუძლია რისკების მართვა და ფუნქციების სხვაზე დელეგირება.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

პერსონალის შეჩევა და დასაქმების პროცედურები არის ობიექტური და გამჭვირვალე.სკოლას დამტკიცებული აქვს ვაკანტურ თანამდებობაზე კადრების შერჩევის წესი. სკოლაში არსებული ვაკანსიის შესავსებად ცხადდება შიდა და ღია კონკურსი სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, განისაზღვრება კონკურსის ვადები, პირობები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, სპეციალური მოთხოვნები. ინფორმაცია შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში, ყველა მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომ ადგილას სამასწავლებლოში, საინფორმაციო დაფაზე. ღია კონკურსი კი ცხადდება მასწავლებელთა ვაკანსიების ოფიციალურ გვერდზე TEACHERSJOBS.GE. კონკურსი შედგება ორი ეტაპისაგან. სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიები. საკონკურსო კომისია პირველ ეტაპზე გადაარჩევს იმ კანდიდატთა დოკუმენტაციას, რომლებიც აკმაყოფილებენ კონკურსის მოთხოვნებს. მეორე ეტაპზე კანდიდატებთან წარმოებს გასაუბრება. გასაუბრების ეტაპზე ერთვებიან განათლებისა და სამინისტროს საგნობრივი ექსპერტები. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ კონკურსის წესით დაასაქმა ერთი მასწავლებელი. სკოლაში მოქმედებს თანამშრომელთა როგორც მიღების, ასევე გათავისუფლებისა და წახალისების გამჭვირვალე სისტემა, რაც ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებულია 26 თანამშრომელი, რომელთაგან 19 მასწავლებელია, ამათგან მენტორი - 1, წამყვანი - 2, უფროსი -15. უსტატუსო -1 (გეოგრაფიის მასწავლებელი). სკოლაში დასაქმებულია ექთანთი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანების №41/ნ/01 მოთხოვნას. ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა **ხარვეზი**: სკოლას ჰყავს ერთი უსტატუსო მასწავლებელი.

ექსპერტთა რჩევის გათვალისწინებით, ვიზიტის პერიოდში სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია გეოგრაფიის მასწავლებლის თანამდებობაზე. დასტურდება კონკურსის გამოცხადების ბრძანებით. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ხარვეზი გამოსწორებული იქნება 2026 წლის 3 სექტემბრამდე.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელსაც თითოეული მასწავლებელი იზიარებს არის გუნდურობა. სკოლაში შექმნილია საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა პროფესიულ საკითხებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და სხვა. აღსანიშნავია მასწავლებლებისა და სკოლის გუნდის ჩართულობა უწყვეტი პროფესიული განვითარების სქემებში სკოლის, ქვეყნის თუ საერთაშორისო დონეზე. სკოლის მართვაში ჩართულია ყველა რგოლი, საბჭოები, თანამშრომლები, მასწავლებლები და სხვა. დელეგირებულია ცალკეული უფლება-მოვალეობები თანამშრომლებზე. ორგანიზაციის წინსვლისა და განვითარების უზრუნველსაყოფად სკოლაში დამკვიდრებულია კონსტრუქციული თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის კულტურა. შექმნილია პირობები მოსწავლეთა მიღწევების გასაუმჯობესებლად. ყველას აქვს განცდა, რომ შეუძლია საკუთარ საქმეში და სკოლის განვითარებაში წვლილი შეიტანოს. ყოველივე აღნიშნულის წახალისებას კი სკოლა ცდილობს, საპატიო სიგელის გადაცემით, მადლობის გამოცხადებით, კეთილგანწყობილი დამოკიდებულების შექმნით.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას აქვს წარმატებს აღიარებისა და გაზიარების გარკვეული გამოცდილება. კერძოდ, ცალკეული მოსწავლის, სასკოლო გუნდის თუ მასწავლებლის წარმატების გაზიარება ხდება სკოლის ფეიქბუქ გვერდზე. ინფორმაცია წარმატებული პროექტების, ღონისძიებების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიღწევების შესახებ ქვეყნდებოდა ვებ პორტალზე https://www.etaloni.ge/. გარკვეული მიღწევებისათვის პერსონალს საჯაროდ უცხადებენ მადლობას. სიგელებით აჯილდოვებენ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სპორტულ და შემეცნებით ღონისძიებებში მიღწეული წარმატებისათვის.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

2. საშტატო განრიგი;

3. საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებები;

4. საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;
5. თანამშრომლეთა პირადი საქმეები;
6. შრომითი ხელშეკრულებები;
7. სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**
   ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია სკოლაში მომუშავე პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების მექანიზმები, ასევე მასწავლებლის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების მექანიზმებს არეგულირებს ხარისხის მართვის დოკუმენტი. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და იღებენ უკუკავშირს.სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე, რაც დასტურდება

„ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტით, სადაც აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების პროფესიული ზრდა მუდმივი და უმნიშვნელოვანესი პროცესია. ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა, რომელშიც ორგანიზაციული თუ გარემოს ფაქტორების ანალიზი/შეფასება და ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შეფასება მიმართულია ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებაზე („მუხლი:2“). დოკუმენტი არეგულირებს დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად

მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებაში. სკოლას დანერგილი აქვს მრავალმხრივი ობიექტური შეფასების სისტემა: მონიტორინგი, ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება.

სკოლაში შექმნილია ხარისხის მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ესწრება გაკვეთილებს , ჯგუფის უკუკავშირის საფუძველზე იკვეთება პედაგოგთა საჭიროებანი და იგეგმება ჩასატარებელი აქტივობები.

საჭიროების დადგენის მექანიზმი ჩანს Eflow-ში, სკოლას აქვს კათედრის სხდომაზე(ოქმი)დადგენილი საჭიროებები, აქვე გაწერილია მასწავლებლის საჭიროების ანალიზი, რომელიც გადაგზავნილია ადმინისტრაციაში რეაგირების მიზნით.

ადგილზე ვიზიტის დროს გავეცანით მასწავლებლისა და მოსწავლისთვის და ასევე მშობლისთვის განკუთვნილ კითხვარებს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე; მასწავლებლებს უტარდებათ შესაბამისი ტრენინგები, რომლებსაც უზრუნველყოფს შიდა სასკოლო ადამიანური რესურსებით. დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება . პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. სამუშაო პროცესზე დაკვირვების, ურთიერთდასწრებების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები დეტალურად განიხილება ინდივიდუალურად მასწავლებლებთან, რომლებიც თავის მხრივ ზრუნავენ საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის. სკოლა გეგმავს დანერგოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობებიც, რაც ძირითადად, გამოიხატება თემატური ტრენინგების მოძიებითა და ხელშეწყობით. სკოლა წინასწარ ადგენს საგაკვეთილო პროცესზე დასწრების განრიგს, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ურთიერთდასწრება. თითოეულ თანამშრომელს უფლება აქვს მიიღოს დეტალური უკუკავშირი თავისი საქმიანობის შესახებ დირექციისგან, კოლეგებისაგან, დაქვემდებარებული პირებისაგან. ამ დროისთვის სკოლისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება პროფესიული განვითარების კუთხით მასწავლებლებში ციფრული კომპეტენციების განვითარებაა.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია მასწავლებელთა კარიერული ზრდის ხელშემწყობი ნაბიჯები. მასწავლებლები ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგს, კონფერენციებს.სკოლაში შემუშავებული ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების ერთ-ერთი ამოცანაა ხელი შეუწყოს პერსონალის კარიერულ ზრდას. დასაქმებულის თანხმობით სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული

განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. სკოლა უზრუნველყოფს არა მხოლოდ მასწავლებლების, არამედ სხვა თანამშრომლების პროფესიულ ზრდას.კერძოდ, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ უზრუნველყო სკოლის ბიბლიოთეკარის და ბუღალტერის მონაწილეობა ტრენინგებში, რაც დასტურდება საფასურის გადახდის დოკუმენტაციით და ცნობებით.სკოლა გეგმავს შიდა სასკოლო ტრენინგების ჩატარებას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა ეხმარება ახალ თანამშრომელს თავი იგრძნოს ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად. აცნობს სკოლის შინაგანაწესს. წარუდგენს სასკოლო საზოგადოებას. აცნობს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს. ახალ თანამშრომელთან ასეთი დამოკიდებულება ხელს უწყობს მათ ადაპტირებას და ძალიან მალე სკოლის გუნდის წევრად გახდომას. ახალი თანამშრომლის კოლექტივში ადაპტაციისათვის მიმართავენ შეხვედრებს არაფორმალურ გარემოში.ყველა თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა თანაბრად ისარგებლოს სკოლის ყველა რესურსით.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა მხარს უჭერს მასწავლებლების მიერ გამოთქმულ ინიციატივებს და , შესაძლებლობის ფარგლებში, ეხმარება პროექტების, კონფერენციების, სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვაში რესურსებით უზრუნველყოფის გზით. გამოყოფს სამუშაო სივრცეს, აუდიო- ვიდეო მოწყობლებებს.სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები რაც გამოიხატება დირექციის სრული გახსნილობით ახალი იდეების, ინიციატივების მიმართ. სკოლა ცდილობს შექმნას მასწავლებლებისთვის კომფორტული, კოლეგიალური სამუშაო გარემო და, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მათი ინფორმირება და ფასილიტაცია. მშობლებთან და სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაზრდის მიზნით, შეიქმნა სოციალური ქსელში სკოლის გვერდი , რომლის ფუნქციონირებაშიც სკოლას თავისი წვლილი შეაქვს და ეხმარება, რათა გვერდი იყოს მრავალფეროვანი, საინტერესო და ინფრომაციული. მასწავლებლები მხარს უჭერენ ერთმანეთს პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების განვითარებაში და რეალიზებაში. ამ მიზნით სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებით (მატერიალური რესურსი, სათანადო სივრცის შექმნით).

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
4. პროფესიული განვითარების მიზნით აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სერთიფიკატები)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ხარისხის განვითარების ჯგუფის საქმიანობა ადასტურებს აღნიშნულ ინდიკატორს. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რაც გულისხმობს

სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგსა და მათ მუდმივ სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობას. საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობასა და განათლების იმგვარად განვითარებას, რომ კურიკულუმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, შეფასების სისტემა და სხვ. შეესაბამებოდეს დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებსა და მოლოდინებს. ხარისხის უზრუნველსაყოფად ხორციელდება პროგრამებისა და სასწავლო პროცესის სისტემატური გადახედვა.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია ნაწილობრივ სკოლის შინაგანაწესში და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, დისციპლინური წარმოება ჩანს შინაგანაწესში, პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში , როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ხელშეკრულებები და შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ეფუძნება საქმისწარმოების წესს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია თანამშრომლების და მოსწავლეების დისციპლინური პასუხისმგებლობები. მშობლებთან ურთიერთობის წესის მიხედვით მშობელს უფლება აქვს მოითხოვოს სკოლისგან მოსწავლისადმი სამართლიანი, ობიექტური და თავაზიანი დამოკიდებულება; სკოლას შემუშავებული აქვს

კანონიერი უფლებების დაცვის წესი, რომელიც ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. წესში მოცემულია გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემა..სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე, საჩივრების განხილვის სისტემა; ნებისმიერი განცხადება/წერილი/კორესპონდენცია, რომელიც შემოდის სკოლაში ტარდება შემოსულ დოკუმენტაციაში და ედება შესაბამისი რეზოლუცია. გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის პროცედურა გაწერილია სკოლის შინაგანაწესით და მათზე რეაგირება ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, დირექტორის ბრძანებებში მითითებულია გასაჩივრების ვადა ,წესი, ხოლო რაც შეეხება ოქმებსა და სხვა დოკუმენტაციის გასაჩივრების წესს აღნიშნული რეგულირდება კანონმდებლობით.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. პერსონალის უფლებამოსილება ასევე გაწერილია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. გარდა ამისა, მშობელთა უფლებები, მათთან კომუნიკაციისა და ინფორმირების წესი დეტალურადაა მითითებული სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ მშობლებთან ურთიერთობის დებულებაში . ასევე, სკოლაში აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, რომლებიც მიმართულია უფლებების კუთხით ცნობადობის ამაღლებისკენ. სკოლის შინაგანაწესი და მშობლებთან ურთიერთობის დებულება საჯარო და ხელმისაწვდომია თითოეული დაინტერესებული პირისთვის და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები.სკოლის საზოგადოების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლა თავისი კომპეტენციის ფარგლებში სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის შესაბამის ადრესატებს, კერძოდ, სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ცხელი ხაზის ნომერი - 112.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

4. საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი;
5. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
6. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
7. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
8. კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
9. ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

   სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სკოლის მართვის ორგანოებში, რომლის მიზანია სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა და დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და უკუკავშირის მიღების მიზნით იყენებს სხვადასხვა ტიპის არხს, მათ შორის, სოციალური ქსელით დაფიქსირებულ მოსაზრებებს, კათედრების მიერ შექმნილ საკომუნიკაციო მესენჯერ-ჯგუფებსა და თიმსის გუნდებს. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. სკოლის სწავლა-სწავლების პროცესში მშობლებს, თანამშრომლებს და მოსწავლეებს გასაცნობად და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში უკუკავშირის მისაღებად ეგზავნებათ სკოლის მართვის დოკუმენტები, დებულებები, მარეგულირებელი წესები, სასკოლო სასწავლო გეგმა, ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ. პერიოდულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, საკითხები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე, მშობელთა კრებებზე, მოსწავლეების შემთხვევაში, სადამრიგებლო საათის ფარგლებში. სწორედ აღნიშნული აქტივობებით ხორციელდება მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და მიღებულ უკუკავშირზე სათანადო რეაგირებას ახორციელებს სკოლა. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თვალყური ადევნონ საკუთარ შედეგებსა და პროგრესს. როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე, კვირის ბოლოს, სკოლის ელექტრონულ ჟურნალში მასწავლებლები თითოეულ მოსწავლეს უკეთებენ განმავითარებელ კომენტარს მათი წარმატებისა თუ წარმოქმნილი პრობლემის შესახებ. ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა აქვს მოსწავლეს, კლასის

დამრიგებელს, მშობელს, სკოლის ადმინისტრაციას, შესაბამისად ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია. მშობლებთან სწორი ფორმით შეხვედრა უზრუნველყოფს ღიაობას, რაც მათი მხრიდან სხვადასხვა საკითხებზე იძლევა უკუკავშირის დამყარების საშუალებას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში თითოეული წევრის ჩართულობა არის მნიშვნელოვანი. სკოლის წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია კოლეგიური ორგანოების წევრების აქტიურობა და უფლებების სწორი დელეგირება. წარმოდგენილ კოლეგიურ ორგანოებში ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება, აზრის, იდეის, შენიშვნისა თუ რეკომენდაციის გაცემის უფლება. სასკოლო ცხოვრებაში კომიტეტებსა და საბჭოებში წევრობის საშუალებით უზრუნველყოფილია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობა. ყველა მასწავლებელი ჩართულია მართვის კოლეგიალურ ორგანოში (პედაგოგიური საბჭო), სადაც გადაწყვეტილებების მიღებაში ყველა თანაბრად იღებს მონაწილეობას, გამოხატავს საკუთარ აზრს და იზიარებს სხვებისას, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად და ანალიზის საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულ პირებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი. დისციპლინური კომიტეტი მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც, თავის მხრივ, ხელშემწყობი გარემოა სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისთვის. სკოლაში აქტიურად მუშაობს სამეურვეო საბჭო. ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებში თანამშრომლობა ხელს უწყობს სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
2. სამეურვეო საბჭოს ოქმები;
3. დისციპლინური კომიტეტის ოქმები;
4. სკოლის ფეისბუქ -გვერდი და მესინჯერ-ჯგუფები.შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**
**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მორიგე მასწავლებლები, სკოლის დარაჯი, დირექცია და დამრიგებლები უზრუნველყოფენ სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებას. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლას დამონტაჟებული აქვს შიდა და გარე პერიმეტრზე სათვალთვალო კამერები. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი დარაჯთან, მორიგე მასწავლებელთან ერთად ზრუნავს სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. სკოლას აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც გადაგზავნილია შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შესათანხმებლად. სკოლას ასევე მიმართული აქვს უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით სკოლა წარმოადგენს ნაბიჯებს, რომელიც გაწერილია

შესაბამისობის გეგმაში. ამავე დროს, აღსანიშნავია რომ, სკოლს თანამშრომელთა მცდელობის მიუხედავად სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ფიზიკური არ არის დაცული. გამოვლინდა შემდეგი **ხარვეზი:** სკოლის ტერიტორიას არ გააჩნია ღობე, სკოლის შენობიდან მოსწავლეები გამოდიან უშუალოდ საავტომობილო გზაზე. სკოლის ეზო სამი მხრიდან შემოსაზღვრულია მდინარით, არ არის არავითარი დამცავი ჯებირი არ სხვა დამცავი საშუალება.გაკვეთილების მსვლელობისას სკოლის კართან არ არის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის მოსწავლეები წყლის დასალევად გადიან სკოლის წინ არსებულ წყაროსთან ,ამ შემთხვევასი უნდა გადაკვეთონ საავტომობილო გზა. სკოლის სველი წერტილები განლაგებულია სკოლის სარდაფში, სადაც არ არის დაცული მოსწავლეთა უსაფრთხოების ნორმები. შესაბამისობის გეგმის მიხედვით ხარვეზი გამოსწორდება 2027 წლის 29 დეკემბრამდე.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, სასწორი, საკაცე, მაცივარი, კარადები, მედიკამენტების კარადა, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ.ვიზიტის დროს გამოვლინდა შემდეგი **ხარვეზი**: სამედიცინო ოთახში არ არის შირმა, რომელიც აუცილებელია სამედიცინო პროცედურების ჩატარების დროს პრივატულობის დასაცავად.არგუმენტირებული პასუხის წარდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებები ( ფოტომასალა, სამედიცინო შირმის შეძენის დოკუმენტი : მიღება-ჩაბარების აქტი 21.04.2026 წ.)

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი ჰყავს დანიშნული ბრძანებით, საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები . სკოლის შესასვლელში შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს დარაჯი. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში ფსიქო-ემოციური უსაფრთხო გარემოს ფორმირების მიზნით შემუშავებულია და დამტკიცებულია ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. სკოლა ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში რეფერირებას, ასევე საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გადამისამართება მოხდება მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში. სკოლა ზრუნავს ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების განვითარების გაძლიერებაზე. საგაკვეთილო პროცესზე მხარდაჭერილია მოსწავლეთა მხრიდან პრობლემებსა და გამოწვევებზე საუბარი. ტარდება სხვადასხვა აქტივობები, სადაც მოსწავლეები ღიად საუბრობენ მნიშვნელოვან ფსიქო-სოციალურ პრობლემებზე, ერთმანეთს აზრს უზიარებენ, ეძებენ გამოსავალს და გადაჭრის გზებს. აქტივობებში თანაბრად არის ჩართული ყველა მოსწავლე. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელია შრომითი ხელშკრულებით დასაქმებული 2 დამლაგებელი. სკოლის დამლაგებლები იცავენ ყოველდღიურად სისუფთავეს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. სკოლის მახლობლად განთავსებულია მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ ნარჩენების ურნები, ასევე მოსწავლეებმა თავად დაამზადეს და სკოლის ფოიეში განათავსეს ქაღალდის შესაგროვებელი სპეციალური ყუთი. სკოლის სველი წერტილები განლაგებულია სკოლის სარდაფში, აღჭურვილია ყველა შესაბამისი ნივთით, რომელთა მომარაგებაზეც ზრუნავს სკოლის დირექცია.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას აქვს ბრძანებით დამტკიცებული ,, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები'',სადაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები , მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, განსაზღვრულია სკოლის რომელ თანამშრომელს აქვს წვდომა კონკრეტულ მონაცემზე და სხვ. სკოლას ჰყავს განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი..სკოლაში მონაცემები მუშავდება მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით.

მონაცემები ინახება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად.სკოლის დირექციის მიერ მოხდა აღნიშნული წესის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის გაცნობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომი არ არის, ხოლო საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს ინტერნეტს, რომელზეც დაყენებულია პაროლი. სკოლაში არსებულ ინფორმაციას განეკუთვნება: ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ; ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ; ინფორმაცია მოსწავლეების მშობლების შესახებ; ინფორმაცია ვიზიტორების შესახებ. ელექტრონულ პროგრამაში არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისა და მოსწავლეებისთვის შესაბამისი საკლასო ჯგუფების მიხედვით. სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს. ელექტრონული ჟურნალის წარმოების დროს დაუშვებელია მასწავლებლების მიერ შეფასებების გადატანა სხვადასხვა ფაილებში/წიგნაკებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების უკანონოდ გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია ჟურნალში ნიშნების გადატანა. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ვალდებულია ჟურნალში გადატანისთანავე დაუყოვნებლივ გაანადგუროს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების შემცველი ჩანაწერები წიგნაკში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ბრძანებით დადგენილი წესით ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც აისახება დირექტორისადმი წარდგენილ ანგარიშებში. სამომავლოდ სკოლაში იგეგმება სწავლის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ დეტალური ანალიზის და ანგარიშის შედგენა, რაც გამოყენებულ იქნება გამოვლენილი გამოწვევებისა და სისუსტეების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. მდგრადობის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა;
2. წერილები საგანგებო სიტუაციების სამსახურის;

3. მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
4. დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულები;
5. დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულება;
6. ექთანის დანიშვნის ბრძანება
7. პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი.
8. შიდარეფერირების დოკუმენტიშეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**
   სკოლა მდებარეობს სოფელ ირემაძეებში პირველი ქ. #19. სკოლა განთავსებულია ერთ შენობაში, რომელიც შედგება სარდაფისა და სამი სართულისაგან. პირველ და მეორე სართულებზე განთავსებულია საკლასო ოთახები და კაბინეტები, მესამე სართულზე სპორტული (არასტანდარტული) დარბაზი, ბიბლიოთეკა და ქიმიის კაბინეტი.ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მოსწავლეთა ინდივიდუალური მერხით და სკამით, არის დაფა და მასწავლებლის მაგიდა. კედლებზე მოსწავლეების მიერ შესრულებული ნაშრომები. სკოლის ბალანსზე არსებული მერხების და სკამების რაოდენობა აღემატება სკოლის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა რაოდენობას. სარდაფში განთავსებულია ცენტრალური გათბობის საქვაბე, საწვავის საწყობი, საპირფარეშოები და თავისუფალი სივრცე. სკოლის არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი

შეადგენს 532 კვ/მ-ს, რომლისგანაც 300 კვ/მ-ზე განთავსებულია სკოლის შენობა, რომლის სასწავლო ფართი შეადგენს 903 კვ/მ-ს. სკოლის ეზო შეადგენს 150 კვ/მ-ს რომელიც ესაზღვრება თემებს შორის დამაკავშირებელ ცენტრალურ გზას, სკოლას სამი მხრიდან ესაზღვრება მდინარეები. 2018 წელს სკოლაში განახლდა ცენტრალური გათბობის სისტემა, 2023 წელს მოხდა სახურავისა და საკლასო ოთახების და კაბინეტების იატაკის საფარის შეცვლა. სკოლის ინფრასტრუქტურა ამჯამად საჭიროებს რეაბილიტაციას და დამატებითი შენობის (საქვაბის და საწვავის ავზებისათვის რომელიც ამ ეტაპზე სკოლის სარდაფშია განთავსებული) აგებას, ასევე ეზოს, ადაპტირებული გარემოს, სველი წერტილებისა და შიდა სივრცის მოწყობას. აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტრომ ელექტრონული ტენდერის საშუალებით შეისყიდა საპროექტო სამუშაოები.სკოლაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა შემდეგი **ხარვეზი**: სკოლას არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი, არ აქვს პანდუსი,ცენტრალური გათბობის საქვაბე და საწვავის ავზი განთავსებულია სკოლის სარდაფში.
შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ხარვეზი გამოსწორებული იქნება 2027 წლის 29 დეკემბრამდე.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის არსებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის (დარბაზი). სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტრული ლაბორატორიის სარგებლობის წესი და განრიგი. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, ასევეა ექიმის კაბინეტი.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში არის ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკარი გადამზადდა სკოლაში ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე. სკოლას აქვს შერჩეული სახელმძღვანელოები, გარკვეული წიგნადი ფონდი. ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა შემდეგი **ხარვეზი**: სკოლის წიგნადი ფონდი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით,არ არის ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნი. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ხარვეზი გამოსწორებული იქნება 2026 წლის 30 აგვისტომდე.

4.**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

ვიზიტის დროს დაფიქსირდა შემდეგი **ხარვეზი**:სკოლის ამჟამინდელი ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს სწავლების ინკლუზიური გარემოს შექმნას რადგან სკოლსში არ გვაქვს პანდუსი, ლიფტი, რესურს ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილები. თუმცა პროექტში რომელიც შეისყიდა აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტრომ გათვალისწინებულია

სწავლების ინკლუზიური გარემოს შექმნა. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ხარვეზი გამოსწორებული იქნება 2027 წლის 29 დეკემბრამდე.

**5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს კიდევ უფრო უკეთეს სოციო-კულტურულ სივრცედ.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საჯარო რეესტრის ამონაწერი
2. სკოლის შიდა აზომვითი ნახაზი
3. ბიბლიოთეკის დებულება
4. კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესი
5. შუალედური მიღება ჩაბარების აქტი სკოლის რეაბილიტაციის პროექტზე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლაში მოქმედი 38 კომპიუტერია, აქედან 31ლეპტოპია და 7 პერსონალური კომპიუტერი. კომპიუტერულ კლასში ხელმისაწვდომია 7 პერსონალური კომპიუტერი და 1 ლეპტოპი; სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით: 9 პროექტორით, 4 პრინტერ-სკანერის აპარატით, 1 ფერადი პრინტერით. აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის წესი, მასწავლებლების სარგებლობაშია ასევე პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორი და სხვა ტექნიკა საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობისათვის.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები).
2. კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით.საქმისწარმოების წესით გათვალისწინებული სარეგისტრაციო ჟურნალები არ იყო დანომრილი და ზონარგაყრილი. ექსპერტების ვიზიტის დროს მოხდა სარეგისტრაციო ჟურნალებში ფურცლების დანომრვა , გაეყა ზონარი და დამოწმდა სკოლიუს ბეჭდით.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. Eflow - ს სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი . მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება შემოსული და გასული კორესპონდეცნიების ჟურნალში გატარებული მონაცემებით.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. საქმისწარმოების წესი;
2. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა skolebi.emis.ge და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; ამასთან საკომუნიკაციო არხად იყენებს ასევე სკოლის ოფიციალურ ფეისბუქის გვერდს და სკოლის ელ, ფოსტას iremadzeebi@mes.gov.ge.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლას განსაზღვრული ჰყავს სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული პირი უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციას. ისეთ საკითხებზე, რომელიც საჭიროებს სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რეაგირებას, უზრუნველყოფს სოციალური ქსელიდან შემოსული ინფორმაციის დირექციისთვის გადაცემას. სკოლა უზრუნველყოფს შემოსული ინფორმაციის გათვალისწინებას შემდგომ საქმიანობაში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას შექმნილი აქვს სკოლის ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია სასკოლო სასწავლო პროცესის ამსახველი ინფორმაცია, ინფორმაცია არის სანდო და გამჭვირვალე, მისი განთავსება ხდება ქართულ ენაზე.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

დაწესებულების ვებ-გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ხელმისწვდომია სკოლის სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი და სხვა საჯარო დოკუმენტაცია.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის ვებ-გვერდი;
2. მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;
3. სკოლის ელექტრონული ფოსტა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**
**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტის განკარგვას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და შესრულების ანგარიში წარედგინება ფინანსურ სამსახურს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი;
2. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;
3. სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები;
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებშეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**
**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა
სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმის დოკუმენტში, გაწერილია მოსწავლის უფლებებებისა და თავისუფლებების შესახებ, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობას. დოკუმენტში გაწერილია როგორც მოსწავლეთა უფლებები და თავისუფლებები ასევე მათი დაცვის მექანიზმები. სკოლის

შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით გათვალსიწინებული უფლებების დაცვასა და შესაბამისი გარანტიებს. სკოლის შინაგანაწესი საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის შინაგანაწესსა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში გაწერილია მოსწავლეთა უფლება-მოვალეებები. სადამრიგებლო პროგრამები მოიცავს მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შესაბამის შინაარსს. სკოლა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ვალდებულებას იღებს მოსწავლის პერსონალური ინფორმაციისა და მისი კანონიერი უფლებების დაცვაზე.
კანონმდებლობის შესაბამისად ტარდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები. თუმცა საუბრებით გამოჩნდა რომ თვითმმართველობის თავმჯდომარე და მისი წევრები არ იცნობენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს და ნაკლებად იღებენ სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანწესი, რომელიც მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე სკოლის შინაგანაწესი გამოქვეყნებულია სკოლის საიტზე და ნებისმიერი დაინტერესბული პირისთვის ხელმისაწვდომია. ხელშეკრულებაში მშობელსა და სკოლას შორის გაწერილია მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული რეგულაციები. სასკოლო საზოგადოების წევრებთან მისი გაზიარების საშუალებებად, სკოლა, კლასის მოსწავლეების მშობელთა კრებებსა მიიჩნევს. ასევე გამოქვეყნებულია სკოლის ვებ.გვერდზე. წლის დასაწყისში, სადამრიგებლო საათზე, მშობლებს აცნობენ შინაგანაწესს, ასევე მოსწავლეები დამრიგებელთან ერთად შეიმუშავებენ ქცევის წესებს, რომელიც გამოკრულია ზოგიერთ საკლასო ოთახში საორგანიზაციო საკითხებთან. მოსწავლეთა მშობლების ცნობიერების ამაღლების მიზნით , დამრიგებლებს აქვთ სხვადასხვა სახის კომუნიკაცია მშობლებთან, მაგალითად სოციალურ ქსელში, სატელეფონო საუბრებით.მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით სკოლის ტერიტორია დაცული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი არსებობს, ისინი მხოლოდ დასვენების დროს ახერხებენ გააკონტროლონ სკოლის შიდა პერიმეტრი. მოსწავლეს უფლება აქვს, ისწავლოს უსაფრთხო გარემოში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლის მოსწავლის მშობელთან კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია სკოლის სხვა დოკუმენტებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მატერილური სახით შემთხვევითობის შერჩევის პრინციპით

შერჩეული იყო რამდენიმე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობასთან .

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- მშობელთან დასადები ხელშეკრულების ნიმუში;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მექანიზმები;

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტში ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ აღწერილია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, უცხოეთში განათლების აღიარების მექანიზმები, ასევე მოსწავლეთა უფლებები/ვალდებულებები. დოკუმენტი შესაბამისია კანონმდებლობასთან და სკოლის სხვა შიდა რეგულაციებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები გამჭირვალე და მკაფიოა, რაც შესაბამისია ინდიკატორთან. სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. შესაბამისად არაა საჭიროება მულტიდისციპლინური გუნდის არსებობის. საფეხურის დაძლევის მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში და მოსწავლეთათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ხდება მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლევის შესახებ (თუ როგორ მოხდება საფეხურის დაძლევა) ინფორმაციის მიწოდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. კერძოდ, მოსწავლის ჩარიცხვა სკოლაში ხდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლეს კლასი და საფეხური დაძლეულად ეთვლება იმ შემთხვევაში, თუ მისი წლიური შეფასება არის 5 და მეტი ქულა. სტატუსის შეჩერების საფუძველი არის მშობლის განცხადება, მოსწავლის მიერ სკოლის ზედიზედ 45 დღის განმავლობაში გაცდენა. ამ შემთხვევაში კლასის ხელძღვანელი აწარმოებს მოკვლევას მიზეზების შესახებ და ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორს. მოკვლევა ხორციელდება გაცდენიდან 10 და 20 დღის გასვლის შემდეგ. ყველაფერი ეს დადასტურებულია ასევე ინტერვიუს შედეგებით.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა ნაკლებადაა ჩართულია სხვადასხვა ტიპის პროექტებში. სკოლის მიერ, დაინეტერსებული მხარეებისთვის შეთავაზებული საგანმანათლებლო მომსახურების სახეების შესახებ, ინფორმაციის გავრცელება ხდება დამრიგებლის მიერ, პირადი შეტყობინებებით, სოციალური ქსელის ჯგუფებში განთავსებით. დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ სასწავლო წლისთვის შექმნილი და გაწერილი აქტივობები, რესურსები, ღონისძიებები, სპორტული ღონისძიებები და სხვა მსგავსი აქტივობები, არის მოსწავლეებზე მორგებული, უსაფრთხო და არადისკრიმინაციული; ხდება ყველა მოსწავლის ჩართვა ამ აქტივობებში - ეს ინფორმაცია არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

ინფორმაცია, რომელიც სკოლის სოციალურ გვერდზეა გაზიარებული, ასევე სკოლის შიდა სივრცეში გამოკრული აქტივობების, რესურსებისა და სერვისების შესახებ ინფორმაცია, არის კანონმდებლობის შესაბამისი. აღნიშნული საკითხი დასტურდება სტრუქტურული ერთეულების ოქმებით. არ შეიცავს დისკრიმინაციულ ნიშნებს და ხელმისაწვდომია, როგორ სკოლის შენობაში მისული პირისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება;
- შინაგანაწესი;
- სასკოლო წრეების დებულებები;
- დისციპლინური კომიტეტი;
- მშობლის ხელშეკრულება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**
**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

მოსწავლეთა ადაპტაციის წესის შესაბამისად, დოკუმენტში გაწერილია მოსწავლის სასწავლო გარემოში ადაპტირების ყველა ეტაპი, გათვლისიწინებულია ყველა საფეხური, ყურადღება გამახვილებულია მოსწავლეთა ადაპირების რისკებზე. მთავარ დამაკავშირებელ რგოლად აღნიშნულის წარმატებით განსახორციელებად, სკოლა დამრიგებელს თვლის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადაპტირების წესი შექმნის სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

როდესაც ახალი მოსწავლე გადმოდის,(რაც უიშვიათესი შემთხვევაა) ხელი ეწყობა მის ადაპტაციას სკოლასთან, შესაბამის კლასთან და ძირითადად ამ ფუნქციას კლასის დამრიგებელი ითავსებს. სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეებს და მათ მშობლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას, სადამრიგებლო პროგრამას, სკოლის შინაგანაწესს რომელშიც მთელი წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობებია გაწერილი და რაც მშობელთა კრების ოქმებით დასტურდება. თუ მოსწავლე სკოლაში მობილობით გადმოდის მასთან და მის მშობელთან ხდება კლასის ხელმძღვანელის ან დირექტორის შეხვედრა. მას აცნობენ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო კულტურით გათვალისწინებულ ტრადიციებს, რომელიც სკოლაში აქვთ. თანაკლასელებთან ადაპტაციის მიზნით, მიმდინარეობს ინდივიდუალური საუბრები მოსწავლეებთან, სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრები, რომელშიც ჩართულნი იქნებიან მოსწავლეები და მორგებული იქნება საჭიროებებზე.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა მხარდასაჭერად განსახორციელებლად/განხორციელებული აქტივობების დოკუმენტები მოიცავს, როგორც ფორმალური განათლების, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებებს. მაგალითად, სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ყველა ის გამოცდის ტიპები, რომელიც გათვლისიწნებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. იქნება ეს სემესტრული თუ ექსტერნის გამოცდები. ასევე სკოლაში განხორციელებული პროექტები. სკოლას არ აქვს შემუშავებული რემედიაციის პროგრამა.თუმცა აღნიშნეს, რომ მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკაში დანერგოს აღნიშნული პროგრამა. სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული, მხატვრული და ლიტერატურული წრეები, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეები. სასურველია, ინიციატივა მოსწავლეთა თვითმმართველობის მხრიდანაც მოდიოდეს.

სკოლას მიეცა **რჩევა:** შეაფასონ მოსწავლეთა სუსტი მხარეესბი, შეიმუშაონ რემედიაციის პროგრამა და განახორციელონ. გააქტიურდეს მოსწავლეთა თვითმმართველობა, დაგეგმონ ინიციატივები, მიმართონ ადმინისტრაციას, ჩართონ თემი.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, ასევე მოსწავლეებთან კლასის კრებაზე ხდება მათთვის უფლებების და მოვალეობების გაცნობა. ამასთან იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, საჭიროების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე გასცემს ცნობას, დახასიათება/რეკომენდაციას, ნიშნების ფურცელს, რაც ნათლად გამოჩნდა eflow-ს გადამოწმებისას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

მოსწავლეთა თვითმმართველობა არ არის ჩართული სასკოლო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში ხორციელდება ლიტერატურული წრის მუშაობა. მოსწავლეებთან სხვა დამატებით/არაფორმალურ აქტივობები ნაკლებად ხორციელდება. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან გეგმავენ საკლუბო მუშაობის გააქტიურებას. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლა აცხადებს მძაობას, რომ მომავალში უზრუნველყოფს არაფორმალურ აქტივობების წახალისებას და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.

სკოლას მიეცა **რჩევა**: ხელი შეეწყოს მოსწავლეთა პროფორიენტაციას ასევე მათ ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში ჩართვას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად და მომსახურების გასაუმჯობესებლად, სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები და აწარმოებს გამოკითხვებს. მოსწავლეები და მშობლები დირექციასთან და დამრიგებლებთან აფიქსირებენ თავიანთ ხედვებს, გამოცდილებას, სურვილებს.

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სასკოლო სასწავლო გეგმა, ისევე, როგორც სკოლის რეგულაციათა უმრავლესობა, ითვალისწინებს მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების სისტემების არსებობას. აღნიშნული რეგულაციების მიხედვით მნიშვნელოვანია, რომ სკოლა მოსწავლეებს ჩართავს არა მხოლოდ აქტივობებისა და მომსახურებების დაგეგმვის, არამედ შეფასებისა და გადასინჯვის პროცესშიც. მოსწავლეებთან ერთად ღირებული უკუკავშირის მიცემა შეუძლიათ დაინტერესებულ მხარეებსაც, იქნებიან ეს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები თუ თემის წევრები.

მოსწავლეთა ჩართულობა ყველაზე მეტად მაინც მოსწავლეთა თვითმმართველობის ხმა არის სამეურვეო საბჭოში, რომელიც როგორც სრულუფლებიანი წევრი, უნდა სარგებლობდეს სტრატეგიული თუ სამოქმედო გეგმის განხილვა/დამტკიცებაში. რჩევა: სასურველია, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლები გაეცნონ თავიანთ უფლება-მოვალეობებს და დროულად შეიტანონ წვლილი სასკოლო ცხოვრებაში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;

დამრიგებლის მუშაობის დებულება;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები;

ლიტერატურული წრის მიერ განხორციელებული ღონისძიებები;

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლას არ აქვს პროფორიენტაციის მიმართულებით ჩამოყალიბებული ხედვები, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ,გარკვეული მუშაობა ამ მიმართულებით ტარდება. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს ესაუბრებიან მომავალ პროფესიებზე.

სკოლას მიეცა **რჩევა**: პროფორიენტაციის მიზნით, სკოლამ გააფორმოს ხელშეკრულებები პროფესიულ კოლეჯებთან, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სადაც მოსწავლეები გაეცნობიან სხვადასხვა პროფესიის თავისებურებებს, შეხვდებიან პროფესორ-მასწავლებლებს. რომელიც შემდგომში დადებითად აისახება მოსწავლეთა სამომავლო პროფესიის არჩევაზე.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილია შესაბამისი აქტივობები, ასევე სკოლა გეგმავს თემატურ ექსკურსიებს, ინტერვიუს შედეგად დაგინდა, რომ გასულ სასწავლო წელს მასწავლებელმა საბაზო საფეხურის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე წაიყვანა თემატურ ექსკურსიაზე .საბაზო საფეხურის დაძლევის შემდეგ მოსწავლეებს და მათ მშობლებს აწვდის ინფორმაციას განათლების მიღების შესაძლებლობის შესახებ.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილია მცირე აქტივობების ნუსხა, რომელისაც თან ერთვის ფოტო მასალა, წარმოდგენილია საფეხურების მიხედვით, რომელშიც ასახულია აქტივობები მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ხოლო დამრიგებლის ინსტიტუტი კი არის სკოლისთვის ერთ-ერთი უკუკავშირის მიღების გზა, რომელის უკუკავშირზე დაყრდნობით სკოლა აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, რაც საშუალებას იძლევა ინდიკატორის შესაბამისობას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. სადამრიგებლო პროგრამები
3. სასკოლო პროექტები

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე. შესაბამისად, საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილი არარის სასკოლო სასწავლო გეგმაში. არ არის შექმნილი ი.ს.გ ჯგუფი.

**რჩევა**: სასკოლო სასწავლო გეგმაში შეიტანოს სსსმ მოსწავლისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

ექსპერტთა ვიზიტის დროს გამოიკვეთა შემდეგი: რადგან სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, შესაბამისად არ აქვს რესურს ოთახი. თუმცა, სკოლას აქვს მზაობა სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში მოთხოვნის შესაბამისად შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლას და საზოგადოებაში ინტეგრაციას.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის ადაპტირების წესი;

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) არ ხორციელდება.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო სასწავლო გეგმა

სადამრიგებლო პროგრამები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი<br>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი<br>ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის<br>ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი<br>ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის<br>ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება** |

| | ☐ არ შეესაბამება |
|---|---|
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

როგორც კათედრასთან ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, მათ კურიკულუმზე მუშაობის დროს გაითვალისწინეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები.,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის." დოკუმენტის მიხედვითაც კურიკულუმის შემუშავება ხდება ძირითადად მასწავლებლების, დირექციის ჩართულობით და ითვალისწინებს საკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ყველა საფეხურის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღოდა წინა სასწავლო წლის ანალიზი, შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა შედეგები, კათედრების მუშაობა. ამასთან მეთოდოლოგიის მიხედვით, კურუკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, როგორიცაა სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აპირებენ მეთოდოლოგიის გადახედვას და გაუმჯობესებას. **ინდიკატორი 2.1.1.1 შეესაბამება.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული მხარე. კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სამუშაო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის ანალიზის საფუძველზე; ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. გასაუბრებით და კათედრის სხდომს ერთ-ერთ საკითხად განხილული კურიკულუმზე მუშაობის ჩაანაწერებით დასტურდება, რომ კურიკულუმები შედგა ერთობლივი, კოლეგიალური მუშაობის საფუძველზე. რაც კათედრის სხდომის ოქმში ასახული ინფორმაციის თანახმად ცალსახად აღინიშნება. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ შეხედულებებს, მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, რაც თითოეული მათგანის ინტერესების გათვალისიწინების შესაძლებლობას იძლევა. **ინდიკატორი 2.1.1.2. შეესაბამება.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

ადგილზე ვიზიტის დროს, საგნობრივ კათედრაზე ინტერვიუებისას, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის ყველა წევრი ჩართულია კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცებულია სასწავლო წლის დასაწყისში. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადეობის წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ უფრო მეტ საინტერესო დავალებას. დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე და ასევე კათედრასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებელები ნამდვილად ახდნენე ძველი

კურიკულუმების განხილვას და და ცვლილებების შეტანას , ყოველივე ამის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორი 2.1.1.3 შეესაბამება.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერხულოს**

ხულოს რაიონის, სოფელ ირემაძეების საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სასკოლო კურიკულუმის სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების აუცილებლობას. კათედრასთან გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს და აღწერეს სკოლის პრაქტიკა, რაც გულისხმობს იმას, რომ სასწავლო წლის დასწყისში, კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობებენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს (ჩანს დამრიგებლის პორტფოლიოში არსებულ ჩანაწერებში), სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ეთიკის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის საკითხებს და სხვ. მათ აღნიშნეს, რომ განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მშობლები გამოირჩევიან ინტერესით და მათთან დეტალურად ხდება დაგეგმილი სასწავლო პროცესების,მისაღწევი მიზნების, აქტივობების თუ შეფასების რუბრიკების განხილვა. მომავალში გეგმავენ არსებული კურიკულუმის გადახედვას და საუკეთსო პრაქტიკის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის: მოსწავლეებს სადამრიგებლო საათზე, მასწავლებლებს- კათედრაზე და მშობლებს - მშობელთა კრებაზე. მიღებული უკუკავშირს და მათი შეხედულებებს გაითვალისწინებენ და ასახავენ შესაბამის დოკუმენტაციაში. **ინდიკატორი 2.1.1.4 . შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების დ განვითარების მეთოდოლოგია;**
- **კათედრების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია.**

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის ბუნების, ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმის ცხრილებში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია დავალებები (დავალების იდეა), რომელთა შერჩევა განხორციელებულია კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, ჩვენი საქართველო) სამივე საფეხურზე არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვასა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ /შემოქმედებით დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ძირითად წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალების იდეები, რომელიც აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით. სწორი აქცენტები გააკეთეს შემოქმედებითი დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საშუალებაზე. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | სკოლას სამივე საფეხურზე წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები ყველა კლასისთვის ორივე უცხოურ ენაში (ინგლისური ენა და რუსული ენა). კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მოიაზრება, როგორც მოსწავლის განვითარების გზა, საშუალება, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. ამ ეტაპზე კათედრას შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილი აქვს საინტერესო კომპლექსური ტიპის დავალებები უცხოურ ენებში შესაბამის სასწავლო შინაარსთან და თემატურ ერთეულებთან ერთად და ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას და საჭიროებებს.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლას სამივე საფეხურზე წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულემები ესთეტიკის საგნებში- ხელოვნებასა და მუსიკაში. კურიკულუმებში ჩანს საგნობრივი სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განვითარების გზა. კურიკულუმებში შუალედურ მიზნებში ჩანს მრავალფეროვანი შემოქმდებითი დავალებები, სავალდებულო თემატურ ბლოკებთან და თემებთან მიმართებით, რაც მოსწავლის ინტერესების და შესაძლებლობლობების გამოვლენასა და განვითარებას უწყობს ხელს, ასევე წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას იძლევა.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია შემოქმედებითი ხასიათის დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე. ჩანს, რომ კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას, დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია დავალებები (დავალების იდეა), რომელთა შერჩევა განხორციელებულია კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილო სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს, რასაც ადასტურებენ ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგები. სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერულ ტექნოლოგიებში (I-VI კლასები) შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს , მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მასში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. სასწავლო |

| | |
|---|---|
| | პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. შერჩეული შემოქმედებითი დავალებები მიემართება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს ,გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები,საჭიროებები და შესაძლებლობები. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | შემუშავებულ კურიკულუმუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი შემოქმედებითი დავალებები, რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვითაა შერჩეული. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სწავლების სამივე საფეხურზე, საბუნებისმეტყველო საგნების ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი ან შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში). ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმები სამივე საფეხურზე მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში ასახულ შემოქმედებით დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების მიხედვით. კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს ისეთ დავალებებს და აქტივობებს (მაგალითად, სასწავლო პროექტები, კომპლექსური ტიპის დავალებები; წყვილებში და/ან ჯგუფებში მუშაობა;), რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ჩაერთონ კომუნიკაციაში, იაზროვნონ კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას გამოიჩინონ შემოქმედებითობა, გამოავლინონ თანამშრომლობის, პრობლემის გადაჭრის უნარები, გუნდურობა, შეძლონ რეფლექსიის გაკეთება და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მათი ხასიათის და პიროვნების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკების მიმართება სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან. კურიკულმში წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებები და პროექტები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებს.<br>**რჩევა:** დაწყებით და საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შედგენის დროს ყურადღება მიაქციეთ აკად. საათების რაოდენობას და მასთან მიმართებით განსაზღვრეთ თითოეულ კლასში თემების რაოდენობა. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის |

| | |
|---|---|
| | ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებს მუდმივად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა ტიპის აქტივობაში, განუვითარდეთ მრავალმხრივი უნარები.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები  დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სწავლების სამივე საფეხურზე, ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება  ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით.  მიზნის  მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი  ან შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში). დოკუმენტების განხილვისა და ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები  დაკმაყოფილებულია. |
| სპორტი | წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები  დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე კომპიუტერული ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. შუალედური დავალებების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ორიგინალური დავალებები, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებს.  **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები  დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით |

| | |
|---|---|
| | გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების (ბუნება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმებში გათვალისწინებულია რესურსი, გრიფირებული თუ დამატებითი (სახელმძღვანელო და ელექტრონული რესურსი), რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, არის ვერიფიცირებული კათედრის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ გააჩნია სრულად აღჭურვილი ლაბორატორია, კურიკულუმში გათვალისწინებული მარტივი ექსპერიმენტები, რომელბიც არ ითხოვთ რთულ აღჭურვილობას. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები სამივე საფეხურზე, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ტელესკოლის ვიდეო რესურსები და გაკვეთილები, El.ge-ის პორტალის რესურსები, სასწავლო რუკები და სხვა.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (სახელმძღვანელო, მოსწავლის სამუშაო რვეული), აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც თავისთავად ხელს უწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის საგნების კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები- გრიფირებული სახელმძღვანელოები და სხვა მატერიალური რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცეს ხდის საინტერესოსა და მოქნილს. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის, დართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**<br>**რჩევა:** სასურველოია საშუალო საფეხურის პროექტულ სწავლებაში, კურიკულუმში მეტად აისახოს სწავლაა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები. |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით სკოლა ძირითადად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, გარდა ამისა, დოკუმენტაციაში ასახულია, რომ ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას კათედრა ხშირად იყენებს ონლაინ-რესურსებსაც, რათა სწავლების პროცესი იყოს საინტერესო და ხელი შეუწყოს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სამივე საფეხურზე კურიკულუმებში გათვალისწინებულია რესურსი, გრიფირებული თუ დამატებითი(სახელმძღვანელო და ელექტრონული რესურსი), რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები - (მძლეოსნობა, ფრენბურთი, კალათბურთი, ფხბურთი, ლაშქრობა და პროექტული სწავლება, მოძრავი თამაშები სპორტის სათამაშო სახეობების ელემენტების გამოყენებით), რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე, რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს - იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი შესაძლებლობების, |

| | |
|---|---|
| | ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები ( Scratch. mit.edu, 3DPaint, ,,ვსწავლოთ თამაშით”, Powerpoint, Word, Excel, www.storyjumper.com bookcreator.com და სხვა) ემსახურება კონკრეტული სამიზნე ცნების დამუშავებას და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. რესურსების მრავალფეროვნება ითვალისწინებს დიფერენცირებულ სწავლებას და საშუალებას აძლევს სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეს მიაღწიოს სასწავლო მიზანს. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კლასების კურიკულუმებში გათვალისწინებული სასწავლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალა ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.<br>ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. |

## 4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას ამ ეტაპზე არ ყავს სსსმ მოსწავლე, შესაბამისად, ამ ეტაპზე არ აქვთ წარმოდგენილი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები და მოდიფიცირებული დავალებები, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. მაგრამ წარმოდგენილი აქვს ადაპტაციის, ტრანზიციის წესი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მაგალითი, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას რათა გაზარდონ საჭიროებისას სსსმ მოსწავლეების ჩართულობა .<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. შემოქმედებითი დავალებების შერჩევისას ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. გამოიკვეთა, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ ყავს სსსმ მოსწავლე, შესაბამისად, ამ ეტაპზე არ აქვთ წარმოდგენილი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები და მოდიფიცირებული დავალებები, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | ინტერვიუს დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ათვლის წერტილი არის თითოეული მოსწავლე; შესაბამისად, სასწავლო პროცესში კათედრის მუშაობა ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რომლის დროსაც მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესის სფეროს და სწავლის უნარებს. მაგალითად, ხდება მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო მიზნების განსაზღვრა, სასწავლო პროცესის, შინაარსის, საბოლოო პროდუქტის ფორმის დიფერენცირება, შესაბამისი ეფექტური რესურსების |

| | |
|---|---|
| | შერჩევა; განსახორციელებელი აქტივობების, დასასწავლი მასალის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება და ადაპტირება.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები  დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და გათვლილია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა თუ საჭიროებაზე. კურიკულუმში მოსწავლეებს სთავაზობენ შემოქმედებითი პროდუქტის არჩევის საშუალებას. მოცემულ მომენტში სკოლას არ ყავს სსსმ მოსწავლე, შესაბამისად ინდ. გეგმის  საჭიროება  ამ ეტაპზე  სკოლას არ აქვს, თუმცა სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მაგალითი, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას საჭიროების შემთხვევაში.<br>**დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.** |
| სახელმწიფო ენა | სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში დანერგილია ინკლუზიური მიდგომები, რომელთა მიზანია  ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას  და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურზე შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმებიც. დოკუმენტურად არ არის წარმოდგენილი, მაგრამ გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ინდივიდუალურ სასწავლო პრაქტიკაში მასწავლებლები ხშირად მიმართავენ დიფერენცირებულ სწავლებასაც, მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე.<br>ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები  დაკმაყოფილებულია. |
| მათემატიკა | სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელებს აქვთ გამოცდილება და მზაობა  სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას  ამ ეტაპზე არ ყავს  სსსმ მოსწავლე, მაგრამ აქვთ  მუშაობის გამოცდილება და მზაობა საჭიროების შემთხვევაში. შესაბამისად, ამ ეტაპზე არ აქვთ  წარმოდგენილი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები და |

| | |
|---|---|
| | მოდიფიცირებული დავალებები, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები  დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. საჭიროების შემთხვევაში სკოლა გამოხატავს მზაობას სსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებასა და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებისათვის, რაც ჩაშენებულ იქნება კომპლექსურ დავალებებში, სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები  დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | დაწყებითი კლასების საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით, შეიძლება  ითქვას, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო სასწავლო მასალა ,  რაც  საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს მასწავლებელს დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან  რესურსებს.  სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები და მათთვის შექმნილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რითიც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები  დაკმაყოფილებულია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესში მიმართავენ პროცესის და დავალებების დიფერენცირებას, მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტების არჩევანს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.<br>ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები  დაკმაყოფილებულია. |

| | |
|---|---|
| | |

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებებისა და შემაჯამებლიის შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, მიეცეს განმავითარებელი შეფასება. სტანდარტის შესაბამისად ახდენენ დაკვირვებას მოსწავლეთა განვითარებას. ორიენტირებული არიან სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, წარმოადგენილია რემედიაციის მაგალითები და შესაბამისი ანგარიშები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე და ობიექტური.. შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.<br>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სამივე საფეხურზე სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი, ასევე, მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე.<br>**ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს როგორც ზოგადი სახის განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ.: ზეპირი და წერითი მეტყველების დავალებების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის, დამოუკიდებელი და საშინაო დავალების, გაკვეთილში ჩართულობის შეფასების |

| | |
|---|---|
| | რუბრიკები;), აგრეთვე კონკრეტული საკითხის - *(თემა - სასკოლო ნივთები - დაწყებითი საფეხური)* - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები *(შემოქმედებითი დავალება : პრეზენტაცია „TOP TEN FILMS" მე-6 კლასი)*, სადაც გაწერილია კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები, ანუ რის მიღწევა უნდა შეძლოს მოსწავლემ თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, და მკაფიოდაა გამოიკვეთილი კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. |
| ესთეტიკური აღზრდა | კათედრამ წარმოადგინა ზოგადი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები რუბრიკების და სქემების სახით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი სამივე საფეხურზე იყენებენ განმავითარებელი შეფასებისას სიტყვიერ უკუკავშირს, რეკომენდაციებს, თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას. ასევე საბაზო საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში წარმოდგენილია რამდენიმე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. ასევე სკოლას აქვს წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტი სადაც აღნიშნულია, რომ სკოლა კათედრებზე შეიმუშავებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ რუბრიკებს.<br>**დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**<br>**რჩევა:** მეტი ყურადღება დაუთმონ შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, პირდაპირ მიმართული იქნება სამიზნე ცნებებზე. |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლებისას სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, სკოლამ წარმოადგინა საკმაოდ მრავალფეროვანი რუბრიკები, მაგრამ ისინი ძირითადად აგებული იყო ზოგადი ხასიათის კრიტერიუმებით, აფასებდა არა კონკრეტულ, არამედ ზოგადი ტიპის აქტივობებს, მიწოდებული რჩევების საფუძველზე, ვიზიტის დროს სკოლამ მოამზადა განახლებული დოკუმენტაცია, ახლიდან წარმოდგენილი რუბრიკები აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და |

| | |
|---|---|
| | პრინციპების მიხედვით, კრიტერიუმები შემუშავებულია სასწავლო შედეგების გათვალისწინებით და მორგებულია კონკრეტულ თემასა და აქტივობებზე. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. სტანდარტის შესაბამისად ახდენენ დაკვირვებას მოსწავლეთა განვითარების დინამიკაზე. ორიენტირებული არიან სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური. შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომლებიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილია თემის მიხედვით და მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვიერი კომენტარი გამომდინარეობს თემის ფარგლებში ტექნიკის შესრულების დროს სწორ და ზუსტ მითითებებში თუ როგორ უნდა შესრულდეს კოკრეტულ მომენტში შეთავაზებული ტექნიკა სწორად, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები  დაკმაყოფილებულია**<br>**რჩევა:** შეფასების რუბრიკების შემუშავებას  მეტი ყურადღება დაუთმონ. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების კრიტერიუმები იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და უშუალოდ მიმართული სამიზნე ცნებებზე. |
